თბილისის მეტროპოლიტენი მგზავრებს ელის

დედათბილისის მეფვენება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთების 46-ე წელი. № 7 (13401) | კვირა, 9 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სახელოვანი მეტრომშენებლები

დიახ, ამ ადამიანებს და კიდევ სხვებს, ჩვენს სახელოვან გვირაბმშენებლებს არ დაუშურებიათ თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია, რათა დროულად ამუშავებულიყო ჩვენი მეტროპოლიტენის პირველი რიგი.

სურათზე: მშენებელთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): მემონტაჟეთა ბრიგადირი ა. დათაშვილი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირები შ. დევსურაშვილი, ა. ჩუპრიკოვი, ს. ბლიაძე, გვირაბგაყვანის მეხუთე რაზმის საწარმოო განყოფილების უფროსი ნ. კოშკაძე, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ნ. ზადეშვილი, პროექტის მთავარი ინჟინერი ვ. დანდუროვი, ჯგუფის ხელმძღვანელი ა. კოზბელევსკი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირები გ. ობოლაძე, ს. ხაჩიროვი, შ. დგებუაძე, უფროსი საშუშათა მწარმოებელი ი. რუხაძე, მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. გრიგორიანი, სადგურ „ვაგზლის“ შახტის უფროსი მ. დათებოვი, მთავარი სპეციალისტი მეტროს ელექტრომომარაგების დარგში ნ. ელიაშვილი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი კ. აზნაურიანი, სადგურ „რუსთაველის მოედნის“ შახტის უფროსი გ. უიფინი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეგობრები გვილოცავენ

მოსკოვი — მთავარგვირაბმეტრომშენის სამმართველო ულოცავს თბილისის გვირაბმშენის კოლექტივს მეტროპოლიტენის პირველი რიგის პირველი უბნის ამუშავებას და უსურვებს შემდგომს, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

მთავარგვირაბმეტრომშენის უფროსი კუზნეცოვი.
პარტბიუროს მდივანი ბარბუზოვი.
ადგილკომის თავმჯდომარე პეტინროვი.

მოსკოვის მეტრომშენებელთა კოლექტივი მხურვალედ ულოცავს თბილისის გვირაბმშენის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს დიდ შრომითს გამარჯვებას — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისის მეტროპოლიტენის პირველი უბნის საექსპლოატაციოდ გადაცემას.

გისურვებთ ახალ შრომითს წარმატებებს.

მოსკოვის მეტრომშენის უფროსი პოლეტაევი.
პარტბიუროს მდივანი ბეკოვსკი.

ლენინგრადი — ლენინგრადის მეტროპოლიტენის მშენებლები მხურვალე მძური სიყვარულით გილოცავთ თბილისის გვირაბმშენის კოლექტივს დიდ საწარმოო გამარჯვებას — მეტროპოლიტენის ამუშავებას.

გეახარია და თქვენთან ერთად ვზეიმობთ პარტიის XXIII ყრილობისათვის თქვენი ასეთი ღირსეული საჩუქრის მიძღვნას.

ბოლშაკოვი, შარცევი, ევსტრატოვი.

კიევი — კიევის მეტრომშენებელთა კოლექტივი უდიდესი სიხარულით, ძმური გულითადობით მოგილოცავს თბილისის გვირაბმშენის კოლექტივს შესანიშნავ საწარმოო გამარჯვებას, ჩვენს დიად სამშობლოში რიცხვით მეოთხე — თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის ამუშავებას.

კიევის მეტროპოლიტენის მშენებლობის უფროსი საპრიკინი.

ბაქო — აღფრთოვანებით მოგვსალმებთ თქვენ, თბილისის მეტროპოლიტენის სახელოვან მშენებლებს, და თქვენთან ერთად ვზეიმობთ ამ წარმატებას.

მოგილოცავთ, მეგობრებო, გამარჯვებას!

ბაქოს გვირაბმშენის უფროსი აბდულ რაჰიმოვი,
პარტორგანიზაციის მდივანი ისაანდერეროვი,
გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ალიევა.

ერევანი — ერევნელი მშენებლები აღფრთოვანებულნი არიან თბილისის გვირაბმშენებელთა კოლექტივის გამარჯვებით — თბილისის მეტროპოლიტენის ამუშავებით. გილოცავთ, ძმებო, ამ გამარჯვებას და მხურვალედ გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ერევნელი მშენებლების სახელით: არუთინოვი, ასლიბეკიანი, პოლოსიანი.

დიდი სიხარული

ვულოცავ ჩვენს მშვენიერ დედაქალაქს თბილისს მეტროპოლიტენის მწყობრში ჩადგომას, რაც ჩვენი მშრომელების — მუშების, ინჟინრების, მეცნიერების ერთობლივი ნაყოფიერი შრომისა და ადამიანებზე კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგია. დაე კიდევ უფრო იზრდებოდეს და მშვენდებოდეს ჩვენი საყვარელი თბილისი.

ნ. მუსხელიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

გილოცავთ, თბილისელებო, თქვენთან ერთად ვიზიარებ ამ დიდ სიხარულს. მეტროს დაბადება ქართული ტექნიკური აზრის დიდი გამარჯვებაა.

დაგელოცოთ მარჯვენა, მშენებლებო! თბილისელებო, კეთილ მგზავრობაში მოგიხმარდეთ.

გ. ლეონიძე.
საქართველოს სახალხო პოეტი.

მე, როგორც თბილისის მოტრფიალეს უეჭველად მახარებს ქართული მეტროს დაბადება. გამოგიტყდებით, არც კი მჯეროდა, თუ კონკიდან მეტრომდე ასე მცირე დრო დაგვჭირდებოდა. სიხარული დიდია. ახლა საქმე თბილისელებზე, ჩვენს ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული. თვალსაჩინოვით უნდა მოვუაროთ ამ საჩუქარს.

ვ. გოძიაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საქართველოს შრომელებს ულოცავ მეტროპოლიტენის მწყობრში ჩადგომას.

ვაშა თქვენს მარჯვენას, გვირაბმშენებლობის ოსტატებო! ასევე წარმატებით გემუშაოთ მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობაზე.

დაე ყოველთვის მდიდრდებოდეს შშობლიური დედაქალაქი — თბილისი ასეთი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობებით.

შ. ნუცუბიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

თბილისის მეტროპოლიტენი საბჭოთა საქართველოს ტექნიკის გამარჯვებაა. არც არავის უნდა გაუკვირდეს ეს: მაღალი ტექნიკის ნახელარი იყო VI საუკუნეში პეტრას (ბათუმის) სამსართულიანი წყალსადენი, ხოლო XI საუკუნეში აგებულ სამ კათედრალს (ბაგრატი, სვეტიცხოველი და ალავერდი) განცვიფრებაში მოჰყავდა მთელი მაშინდელი მსოფლიო.

პატივისცემითა და მადლობის ნიშნად დაბლა უნდა დავხაროთ თავი ჩვენი ინჟინრებისა და მუშების წინაშე.

პროფესორი
ს. ყაუხჩიშვილი.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჩვენი ქალაქის სიამაყე

ვ. გოცირიძე,
თბილისის გვირაბმშენის მმართველი

თბილისს — ჩვენს საყვარელ დედაქალაქს უკვე აქვს ყველაზე პროგრესული და ყველაზე საიმედო ჩქაროსნული საქალაქო ტრანსპორტი — მეტროპოლიტენი. ეს დიდი, ჭეშმარიტად ეპოქალური მოვლენაა თხუთმეტ საუკუნეს გადაბიჯებული, მაგრამ ახალგაზრდული სიხალისით აღსავსე ჩვენი მზიური დედაქალაქის ისტორიაში. მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის მეტროპოლიტენებს გვერდში ამოუდგა საბჭოთა კავშირში რიცხვით მეოთხე. ჩვენი მეტროპოლიტენი. თბილისელ მშრომელებს ს

ᲕᲐᲥᲩᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲚᲓᲔᲗ ᲬᲘᲜ!

ᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ დღეებშიც კი კომუნისტისათვის უცხოა თვითდამშვიდება, წარმატებებით დატკბობა. მშრომელები, კომუნისტები სამართლიანად ამაყობენ, რომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. მაგრამ ამასთანავე მათ საუბარს, საქმეს უველგან წითელი ზოლივით გასდევს იხ, რომ დიდი ჯილდო დიდი შემოქმედებითი შრომისაკენ მოგვიწოდებს, რომ საჭიროა ახალი რეზერვების ამოქმედება, რომ არ შეიძლება ერთი წუთითაც კი თვალი მოვუხუჭოთ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

სწორედ ასეთი საქმიანი საუბარი იყო სამტრედიის რაიონული პარტიული ორგანიზაციის 43-ე კონფერენციაზეც, რომელიც გუშინწინ გაიმართა.

პარტიის რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით რაიკომის პირველი მდივანი ა. ჩიქოვანი გამოვიდა. მოხსენებაში ჩანდა პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის საქმიანი შეფასება, მისი კრიტიკული ანალიზი.

და სწორედ ასეთმა მოხსენებამ კარგი ტონი მისცა კონფერენციაზე გამართულ კამათს.

საერთო, რაც ყველა დელეგატის გამოსვლას ახასიათებდა, ის იყო, რომ პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები მუდამ უნდა იყურებოდნენ წინ, მიღწეული წარმატებების ობიექტურ შეფასებაში, არსებული ნაკლოვანებების მხილებაში უნდა ხედავდნენ მომავალი მუშაობის ნათელ ამოცანებს, წარმატებათა მოპოვების უტაყვარ რეზერვებს.

ჩვენი რესპუბლიკის საერთო წარმატებებში სამტრედიის რაიონის მშრომელთა გარკვეული წვლილიც არის. შარშან მათ სერიოზული ნაბიჯი გადადგეს წინ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გზაზე.

სამრეწველო-სატრანსპორტო საწარმოებმა გასული წლის გეგმა 114,5 პროცენტით შეასრულეს და გამოუშვეს 4,5 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. წარმატებით იმუშავეს მეჩაიეებმა, წლიური დავალება 106,5 პროცენტით გაანადღეს. მათ სახელმწიფოს 1.148 ტონის ნაცვლად 1.220 ტონა „მწვანე ოქრო“ მიჰყიდეს.

გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სულადობა. წინა წელთან შედარებით რძე 543 ტონით მეტი აწარმოეს, ხოლო ხორცი — 90 ტონით მეტი.

ეს და სხვა ფაქტები, რომლებიც კონფერენციაზე დაასახელეს, მეტყველებენ ადამიანთა იმ პრაქტიკულ მუშაობაზე, რაც მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გასწიეს.

მაგრამ ყველამ ერთნაირად როდი იმუშავა, ყველამ როდი გამოიჩინა მაქსიმუმი გულმოდგინებისა და საქმის სიყვარულისა! ან სწორედ ამის შესახებ იყო მეტად ცხარე ლაპარაკი.

ამ დროს დარბაზში რომ გადაგეხედათ, ადვილად შენიშნავდით თავიანთი კოლექტივების ნაყოფიერი შრომით კმაყოფილ სახეებსაც და თავჩაქინდრულ დელეგატებსაც, რომლებიც აგრეთვე თავიანთი კოლექტივების აუწყობელი, სუსტი მუშაობის გამო „შეახურეს“.

რატომ? იმიტომ, რომ თუ კი ოფეთის ორგანიზაციის, იანეთის მახარაძის, გამოჩინებულის წერეთლის სახელობის, ჭიბაიშის და სხვა კოლმეურნეობებმა დიდი გადაკრბებით შესრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დავალებანი, რატომ ვერ შესრულეს ამ მხრივ გეგმები გორმაღლის წულუკიძის სახელობის, საჯავახოს „მთის წყაროს“, „პირველი მაისის“ კოლმეურნეობებმა? მათ ხომ მუშაობის თითქმის ერთნაირი პირობები აქვთ?

მეორე მაგალითიც. სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 32,5 ცენტნერი შეადგინა ნაცვლად 29 ცენტნერისა. სიმინდის მაღალი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე სოფლების ნიგორწყვის, ეწრის რუსთაველის სახელობის, დაბლა გომის კოლმეურნეობებმა. მაგრამ წლების მანძილზე სიმინდის დაბალი მოსავალია მელაურის ლენინელიძის, ალაბის ორგონიკიძის, ჩხენაშის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

და როცა ეს მაგალითები მოიყავდათ, დელეგატები პრინციპულ შეფასებას აძლევდნენ ეკონომიურად სუსტ მეურნეობათა ხელმძღვანელობას, პარტიული ორგანიზაციების მუშაობას.

პარტიული მუშაობის სისუსტით, წარმოების ეკონომიკის არასაკმაო ცოდნით, სწორედ იმით, რომ ყველგან ვერ გამოიჩინეს უნარი სწორად გამოყენებნათ არსებული რეზერვები და საშუალებანი, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შარშან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩამორჩნენ სიმინდის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის წარმოებაში. სწორედ ამ მიზეზით ვერ შეასრულა საწარმოო დავალებანი აგურის ქარხანამ და საშენ მასალათა კომბინატმა. მარტო აგურის ქარხანამ ქვეყანას დააკლო ორი მილიონი ცალი აგური და 160 ტონა კირი. აბრეშუმის ძაფსაღებმა და ბამბის სართავმა ფაბრიკებმა, აგრეთვე საკონსერვო კომბინატმა ვერ უზრუნველყვეს გამოშვებული პროდუქციის გასაღება.

ადამიანთა აქტივობამ, როგორც ეს კონფერენციაზე განაცხადა ამერიკაკავასის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსმა ლ. ვარდოსანიძემ, განაპირობა ის, რომ რკინიგზელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს შვიდწლედის დავალება ტვირთბრუნვის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

ასეთი მოწინავე კოლექტიუები კი რაიონში ცოტა როდია. მათ რიცხვში არიან სალოკომოტივო და სავაგონო დეპო, „საქჩაის“ ტრესტის სამტრედიის მექანიკური ქარხანა.

რაიონში გაიზარდნენ თავიანთი საქმის შესანიშნავი ოსტატები — რკინიგზელები, მშენებლები, მეჩაიეები, მემინდვრეები, მეცხოველეები... მათი მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვა და გავრცელება კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომელიც მან წაუყენა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. აქვე სამართლიანად ითქვა, რომ თუ ყველა ადამიანი ისე იშრომებს, როგორც მეჩაიე ა. ივანიაძე, ხბოების მომვლელი მ. რევიშვილი, მებოსტნე ქ. ჩაჩუა და სხვები, უკვე მიმდინარე წელს უმაგალითო შედეგები იქნება მოპოვებული წარმოების ყველა უბანზე.

— მაგრამ, სამწუხაროდ, — თქვა დაბლაგომელმა მებოსტნემ ქ. ჩაჩუამ, — არათუ უპარტიო კოლმეურნეები, ზოგიერთი კომუნისტიც ვერ იჩენს საჭირო ინტერესსა და სიყვარულს შრომაში. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიურომ ამას წინათ მკაცრად დასაჯა კომუნისტები ა. ნიკოლეიშვილი, ლ. თოფურია და გ. ჩაჩუა, რომლებმაც ვერ შეასრულეს საწარმოო დავალებანი, გამოიჩინეს საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ამობმდნენ, რომ ყოველ მიღწევასა თუ ნაკლში ჯერ მიზეზი უნდა ვიძიოთნოთ, მერე კი მოვნახოთ უკეთესი მუშაობის გზებიო. მათ ერთ-ერთ ასეთ მთავარ გზად მიიჩნიეთ წარმოების ეკონომიკის სიღრმეში ჩახედვა, კადრების სწორად შერჩევა და აღზრდა.

კონფერენციაზე ბევრი ციფრი მოიყვანეს. მაგრამ ეს ციფრები მოსაწყენი როდი იყო. მათში ჩანდა იმის სწორი ანგარიში, თუ რატომ არ არის ესა თუ ის მეურნეობა, დარგი რენტაბელური, რატომ მიიღო ერთმა მცირე დანახარჯებით მეტი მოსავალი, მეორემ კი ნაკლები?

საკმაოდ არიან წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორები, რომლებიც თავიანთ მუშაობაში ეყრდნობიან ეკონომიურ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, დროულად უპერენ მხარს ყოველივე ახალს და სასარგებლოს, იყენებენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას, აუმჯობესებენ ადამიანებთან მოღვაწეობის მეთოდებს.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ა. ნიკვაძემ, თ. თავაძემ, მ. მელქაძემ და სხვებმა თავი გამოიჩინეს როგორც საკოლმეურნეო საქმის კარგმა ორგანიზატორებმა.

ეს ტრიბუნაზეა ერთ-ერთი მათგანი, სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამარ თავაძე. მან კონფერენციის მონაწილეებს ბევრი რამ საგულისხმო უთხრა. სათქმელი კი ცოტა როდი ჰქონდა კოლმეურნეთა ენერგიულ წინამძღოლს: კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 32,5 ცენტნერი სიმინდი, 104 ცენტნერი ბოსტნეული. თვითეულ საფურაეე ძროხაზე 2.150 კილოგრამი რძე მიიღო. არტელის წლიური ფულადი შემოსავალი ახლა 175 ათას მანეთს აღემატება. ამან კი შესაძლებელი გახადა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვანი ზრდა, ყოველ შრომადღეზე მათ მიიღეს 4 მანეთი ფულად და 12 კილოგრამი მარცვლეული.

დელეგატები მოწონებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც თ. თავაძე ხელმძღვანელობს, რაიონში პირველმა უკვე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 1966 წლის გეგმა.

მაგრამ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში ყველა როდი იჩენს საჭირო უნარს. ამ მხრივ საინტერესოა ასეთი მაგალითი.

ძველი სამტრედიის ლენინის სახელობისა და მელაურის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობებს მუშაობის ერთნაირი პირობები აქვთ. მაგრამ ეკონომიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ორი მეურნეობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამტრედიის კოლმეურნეობამ შარშან მიქტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ყოველ ძროხაზე საშუალოდ 1.708 კილოგრამი რძე მიიღო. საწარმოო დანახარჯები ყოველი 100 მანეთის პროდუქციაზე 17 პროცენტია.

მელაურის კოლმეურნეობაში კი სამტრედიელებთან შედარებით სიმინდის მოსავალი ყოველ ჰექტარზე 10,5 ცენტნერით ნაკლებია, თვითეულ ძროხაზე მოწველეს 788 კილოგრამით ნაკლები რძე, ხოლო ყოველი 100 მანეთის პროდუქციაზე საწარმოო დანახარჯები 8 პროცენტით მეტია.

მელაურის კოლმეურნეობას სათავეში უდგას აგრონომი ა. ბოგაძე. მაგრამ რაშია საქმე? როგორც კონფერენციაზე ითქვა, წარმატებების მოპოვება დიდად არის დამოკიდებული მეურნეობის სწორ ხელმძღვანელობაზე, არსებული რეზერვების სწორად მოქმედებაზე. ამ საკითხებზე გაამახვილეს უურადღება რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მანჯგალაძემ, ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. მელქაძემ, ღანირის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. ღვინიანიძემ და სხვებმა.

ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ბედს ადამიანთა შემოქმედებითი ენერგია, მათი აქტივობა აძლევს მიმართულებას.

კონფერენციაზე ითქვა, რომ უკანასკნელ წლის პარტორგანიზაციების მოღვაწეობა უფრო ქმედითი და კონკრეტული გახდა, ამას ხელი შეუწყო ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა. გაუმჯობესდა პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის შემადგენლობა. ახლა პირველადი პარტორგანიზაციების 158 მდივანდან 152 უმაღლესი განათლებიანი. მათთვის შექმნილია ერთწლიანი პარტიული სკოლა, იმაღლებენ თეორიული ცოდნის დონეს. მუშაობს ორი სახალხო უნივერსიტეტი. მიმდინარეობს კადრების ფართო და გეგმიანი ეკონომიური სწავლება. საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას იწევს 1.600 აგიტატორი, 300-მდე ლექტორი და პოლიტიკური მოხსენებელი.

ამასთანავე მოურიდებლად ითქვა, რომ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში ფორმალიზმის ფაქტებსაც ვხვდებით. საწარმოთა კოლექტივებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თუმცა ბევრი მოხსენება და ლექციაა იკითხება, მაგრამ ისინი ნაკლებად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მომწიფებულ ამოცანებთან.

ნაფაღაურის კოლმეურნეობაში პარტიულმა ორგანიზაციამ აგიტატორის საპატიო მოვალეობა დაკისრა ვ. არველაძეს, ე. ციბაძეს და ც. მეგრელიძეს, რომლებიც სულ არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში.

სწორედ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების, პარტიულ-ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დონის შემდგომი ამაღლების, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები სალოკომოტივო დეპოს პარტბიუროს მდივანმა ბ. ჩიხლაძემ, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ბ. ფოცხვერაშვილმა, იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ბ. ვაშაკიძემ და განათლების რაიონული განყოფილების გამგემ კ. ძნელაძემ.

პირველადი ორგანიზაციებისაგან, რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობისაგან კონფერენციამ მოითხოვა გაძლიერონ ადამიანებთან პოლიტიკური და ორგანიზატორიული მუშაობა, რომ სოფლის მშრომელებმა სანიშნოდ გამოაზამთრონ პირუტყვი, კარგად მოამზადონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებანი საგაზაფხულო თესვისთვის. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში ფართო ბა დაუმთნონ ტექნიკურ პროგრესს, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. მან ილაპარაკა ჩვენი რესპუბლიკის და სამტრედიის რაიონის მშრომელების, პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ძირითად ამოცანებზე.

* * *

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ა. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, მეორე მდივნად — ნ. ᲙᲝᲩᲮᲠᲘᲔᲘᲫᲔ, მდივნად — თ. ᲛᲘᲫᲐᲫᲔ.

ᲐᲚ. ᲖᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

[illegible] ᲛᲔᲠᲔᲑᲘᲗ [illegible] ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ [illegible] ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ [illegible] ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ [illegible] ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ [illegible] ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ [illegible] ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ მდივანი შ. ი. ᲭᲐᲜᲣᲒᲐᲫᲔ.

საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია გ. მელქაძე, მეორე მდივნად — ო. ᲐᲓᲐᲛᲘᲐ.

ᲬᲣᲐᲚᲢᲐᲒᲝᲛᲘ. რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გ. ᲗᲐᲕᲐᲫᲔ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. ᲙᲣᲭᲐᲫᲔ და ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ა. ტ. ᲡᲢᲣᲩᲘᲜᲙᲘ.

პლენუმმა პარტიის წყაროებოს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია გ. ᲗᲐᲕᲐᲫᲔ, მეორე მდივნად — შ. ᲙᲐᲯᲐᲣᲠᲘᲫᲔ, მდივნად — ო. ᲐᲓᲐᲛᲘᲐ.

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. კონფერენციაზე რაიკომის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ნ. ᲨᲝᲜᲘᲐ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე Გ. Ო. ᲩᲮᲐᲒᲐᲕᲐᲫᲔ.

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ნ. ᲨᲝᲜᲘᲐ, მეორე მდივნად — ვ. ᲙᲣᲯᲐᲕᲐ, მდივნად — მ. ᲥᲕᲐᲠᲪᲮᲐᲕᲐ.

ᲬᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ᲐᲮᲐᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ. სიტყვით გამოვიდა 12 დელეგატი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. ᲘᲜᲐᲣᲠᲘ.

რაიკომის პლენუმმა საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია გ. ᲐᲮᲐᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მეორე მდივნად — შ. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მდივნად — გ. ᲯᲝᲛᲨᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ
Თ. Დ. ᲗᲐᲥᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲝᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება მიენიჭოს თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს სესილია დომიტრის ასულ **თაყაიშვილს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ნ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ.
1966 წ. 8 იანვარი.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲐᲜ ჩვენი თეატრის გზებზე და ადამიანებზე დავფიქრდები ხოლმე, სევდა მიპყრობს იმის გამო, რომ ბევრი რამ შესანიშნავი, რამაც ჩვენი თეატრი ხელოვნების მაღალ ტაძრად აქცია, დღეს უკვე წარსულია. აქტიორული ხელოვნების უამრავი ნიმუშის აღდგენა შეუძლებელია, ისინი ახლა თანამედროვეთა მოგონებაში თუ ცოცხლობენ — ეს უკვე ისტორიაა. ამ ისტორიისა და თანამედროვე სცენური ხელოვნების ერთი შესანიშნავი თავი სესილია თაყაიშვილის შემოქმედება.

მე იმ ბედნიერთა რიცხვში ვარ, რომელთაც წლების მანძილზე სესილია თაყაიშვილთან ერთად მოუხდათ მოღვაწეობა სცენაზე. შემოქმედებითი გზები, რომლებთაც უვლია სესილია თაყაიშვილს, უაღრესად საინტერესო, ღრმა, რთული, მეტად თავისებური, ზოგჯერ პარადოქსალური. როგორც ᲗᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐ ხელოვანს მას განეცდია შემოქმედებითი დაეჭვების მტკივნეული გრძნობა, გამარჯვების სიტკბო და შთაგონებისაგან მიღებული ნეტარება. მუდამ და ყველაფერში გამოსჭვივის მისი ნათელი გონება, მახვილი მიგნება. სესილია თაყაიშვილი ის იშვიათი ხელოვანია, რომლის ᲐᲮᲠᲘ ძვირფასია ყველა მსახიობისათვის. ყოველის დამნახავნი თვალი აქვს, მსახიობის შემოქმედების ყოველ კუნჭულში ჩაწვდომი. გემოვნება უზადო და უცდომელი — ბევრი ვერ დაიკვეხნის ამგვარ თვისებებს.

უაღრესი მომთხოვნელობა, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის მიმართ, იყო იმის მიზეზი, რომ მისთვის შეთავაზებულ მრავალი როლიდან სესილია მხოლოდ ზოგიერთს ირჩევდა. ვერავინ და ვერაფერი აიძულებს მას მოაკიდოს ხელი იმას, რასაც მისი მსახიობრივი ბუნება ვერ ეგუება (თუმცა თეატრში როლზე უარის თქმა აკრძალულია). მხატვრული სახის შექმნის საიდუმლო ჯერ არავის ᲐᲛᲝᲣᲐᲮᲜᲐ. ეს საიდუმლო ყველას თავისი აქვს. თვით მსახიობსაც კი არ ძალუძს იმის ახსნა, სად და როგორ ჩაიახსნა მისი მხატვრული სახე. მაგრამ როგორ ყალიბდება სესილიას გმირი როლზე მუშაობის პროცესში, მე ეს მინახავს.

სესილია თაყაიშვილი იმდენად ნიჭიერია, რომ ადვილად ქმნის მხატვრულ სახეს, თუ კი ის თავისუფლად და ორგანულად იქსოვება მის წარმოსახვაში. აუცილებელი არ არის, რომ როლი უსათუოდ დიდი იყოს, მისთვის მთავარია, რომ ეს სახე ადამიანურად მართალი იყოს, ცხოვრებისეულად დამარწმუნებელი. მაშინ შეუძლია ამოხსნას და უჩვენოს გმირის შინაგუნების სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ასეთ შემთხვევებში სესილია თაყაიშვილი გმირის მხატვრული სახისათვის ადვილად ირჩევს მკვეთრ საღებავებს, ზუსტ და კონკრეტულ გარეგნულ მონახაზს. ასეთი გმირი ნათელი, სრულფასოვანია. გმირის ცხოვრებისეული სიმართლით ხატვა სესილია თაყაიშვილისათვის აუცილებელი მოთხოვნილებაა, მისი შემოქმედების პირობაა. მას არ უყვარს გზირის შელამაზება, მისი გამდიდრება გამოგონილი ხერხებით. ყალბი ლიტერატურული სახე ვერ პოულობს ადგილს მის აქტიორულ ფანტაზიაში. იწყება გაღიზიანება, ნერვიულობა, აგრესიული ბრძოლა როლის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მუდამ მთავრდება როლის მიტოვებით. გასაოცარი ეთილსანდნისიერება შემოქმედებით საკითხებში სესილია თაყაიშვილის განსაკუთრებული თვისებაა.

ბევრი რამ გზიბლავს სესილია თაყაიშვილში — სისადავე ცხოვრებაში, სულიერი სამყაროს კოძალულება და სიფაქიზე, შთაბეჭდილებათა სიმწვავე, მსჯელობის სიმახვილე, და მღელვარე საუბრები ხელოვნებაზე, თეატრზე.

სესილიას მუდამ იზიდავდა კინემატოგრაფი. მრავალი სახე შეუქმნია ეკრანზე. ყოველი მათგანი მკვეთრად სახასიათოა, ისინი ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებულნი, მაგრამ იმავ დროს ყოველ მათგანს აქვს რაღაც თავისი, რაც დანარჩენისგან განასხვავებს. ბებერჯერ მინახავს, როგორ დასცინის სესილია თაყაიშვილი ეკრანზე გამოსახულ საკუთარ სახეს. მრავალი სურათის მონაწილე დღემდე ვერ შესჩვეოდა ობიექტივს, მუდამ აღელვებს იგი. ჩემთვის ეს გასაგებია!.. სცენის საიდუმლოს დაუფლებულ მსახიობს მაყურებელთან ცოცხალ კონტაქტს შეჩვეულს, აპარატის ცივი ობიექტივის წინ დგომა არ უყვარს, იმიტომ რომ ეს აპარატი ზოგჯერ ისეთ სიურპრიზს შემოგთავაზებს, შეიძლება საკუთარი თავი შეგაძულოს.

ჩემი წერილი შესანიშნავ მსახიობ სესილია თაყაიშვილზე არ ისახავს მიზნად მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა განხილვას, მაგრამ ერთ მათგანს არ შემიძლია არ შევეხო — ეს არის მისი ბებია. რამდენჯერაც უნდა ვნახო სესილია ამ როლში, ყოველთვის ვდელავ. მისი ბებია ღრმად რეალისტური სახეა, ფესვები ჩვენი ხალხის სულში აქვს გამდგარი. ეს არის ადამიანის სულიერი სამყაროს ამსახველი დიდი აქტიორული ტილო. ეს ტილო მკაცრი სინანზით და უაღრესი ადამიანური ღრმამეტყველებით არის დაწერილი, ტიპიური, მკვეთრი და მართალი, ამავე დროს ნათელი, საყვარელი და ბრძნული, ᲗᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ქართული. ამნირადვე გადაიტანა სესილია თაყაიშვილმა თავისი ბებია სცენიდან ეკრანზე.

სესილია თაყაიშვილი ხალხის საყვარელი მსახიობია, მისი ხელოვნება სიხარულით გავსებს. დღეს ეს ხელოვნება თავის მწვერვალზეა, გული მტკივა იმის გამო, რომ ჩვენ დრამატურგებს „არ ესმით“, თუ როგორ ვალში არიან ისინი ისეთი იშვიათი მსახიობის წინაშე, როგორიც არის სსრ კავშირის სახალხო არტისტი სესილია თაყაიშვილი.

ᲕᲔᲠᲘᲙᲝ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲯᲐᲜᲗᲝ, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებნი გულითადად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი.

ათასობით ჰანოელი გამოვიდა ქუჩებში, რომ მისალმებოდა საბჭოთა დელეგაციას. საზეიმოდ იყო მორთული ჰანოის ცენტრალური მოედანი — ბა დინი.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წევრები, რომლებსაც თან ახლდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჩიონგ ტინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ ზუი ჩინი და სხვა ვიეტნამელი ხელმძღვანელები, ავიდნენ მოედნის ცენტრში მდგომ ტრიბუნაზე. ფამ ვან დონგმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა დელეგაციას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად მიესალმნენ.

ᲯᲐᲜᲝᲗᲝ. 8 იანვარი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, გვირგვინით შეამკო რევოლუციის დაღუპულ მებრძოლთა საფლავი.. გვირგვინზე წარწერილია: „საბჭოთა დელეგაციისაგან გმირ მებრძოლებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“.

შემდეგ დელეგაცია, რომელსაც ახლდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლე დიკ თხო, ეწვია ვიეტნამის რევოლუციის მუზეუმს.

ᲞᲐᲕᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 7 იანვარი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები მ. ᲐᲠᲢᲐᲨᲔᲜᲙᲝᲕᲘ, რ. ᲙᲜᲘᲐᲖᲔᲕᲘ და ვ. ᲚᲐᲡᲙᲐᲠᲘᲝᲕᲘ გვატყობინებენ:

7 იანვარს თითქმის გათენებამდე გასტანა. სამი კონტინენტის ხალხთა სოლიდარობის პირველი კონფერენციის პლენარულმა სხდომამ, რომელიც 6 იანვარს საღამოს დაიწყო. სხდომაზე გამოვიდნენ 16 ქვეყნის წარმომადგენლები. ისინი შეეხნენ თავიანთი ქვეყნების მდგომარეობას, ხალხთა ბრძოლას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის. ხალხთა ფორუმის ტრიბუნიდან სამი კონტინენტის წარმომადგენლებმა კვლავ მხურვალედ მოუწოდეს განამტკიცონ ანტიიმპერიალისტური ძალების რიგების ერთობა, გააქციონ სოლიდარობის მოძრაობა ჩვენი დროის მძლავრ თეატრად. უგანდისა და ბასუტოლენდის, ტანზანიისა და კენიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში ჯერ კიდევ არის კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობა და რომ საჭიროა ბრძოლა მის წინააღმდეგ.

ბასუტოლენდის დელეგატმა განაცხადა: ჩვენ მხარს ვუჭერთ ვიეტნამის, დომინგოს რესპუბლიკის, ანგოლისა და სხვა ქვეყნების ხალხთა ბრძოლას, ვიბრძვით ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის.

ბრაზილიის წარმომადგენელმა დაგმო ბრაზილიის ჯარების გაგზავნა დომინგოს რესპუბლიკაში და ხაზი გაუსვა: „ეს სამარცხვინოა

თბილისის მეტროპოლიტენი მგზავრებს ელის

დედათბილისის მეშვენება

ჩვენი ქალაქის სიამაყე

(დასასრული)

...რებულ ამოცანებს, თბილისის მეტროპოლიტენის მაღალმხატვრული გაფორმებით ძვირფასი წვლილი შეიტანეს ჩვენი მშენელი ქალაქის ხეროთმოძღვრების საგანძურში.

თბილისის მეტროპოლიტენის გვირაბთა მშენებლობის პერიოდში შესრულებული უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები: ამოღებულია 700 ათასი კუბმეტრი გრუნტი, ჩაწყობილია 250 ათასზე მეტი კუბმეტრი ბეტონი და რკინაბეტონი. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენი მეტროპოლიტენის მშენებლობაზე პირველად საბჭოთა მეტრომშენებლობის პრაქტიკაში ათვისებულია გადასარბენი გვირაბის გაყვანა გვირაბსაფარელი „105-ტ" ტიპის ფარით და გვირაბის უნაწებრული მოპირკეთება მონოლითური ბეტონით. ბევრი სხვა სიახლეც განახორციელეს ჩვენმა მეტრომშენებლებმა.

მოკლე საგაზეთო წერილში ამ სიახლეების შესახებ დაწვრილებით შეჩერების საშუალება არ არის, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მათი განხორციელების შედეგად საგრძნობლად ამაღლდა მეტროშენებელთა შრომის ნაყოფიერება, მკაფიოდ დაეტყო გაუმჯობესება სამუშაოთა შესრულების ხარისხს და საკუთარი უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ეს სიახლეები არ დარჩება თბილისში, მათ ფართოდ გამოიყენებენ ყველგან საბჭოთა გვირაბმშენებლები და მეტროშენებლები.

დიდი სიძნელეების დაძლევა მოუხდათ თბილისის მეტრომშენებლებს გვირაბების გაყვანისას თერმული და აგრესიული ნიადაგეებში წყლის ნაკადებთან ბრძოლაში. განსაკუთრებული ხასიათის სირთულეებს წარწყდნენ ისინი სადგურ „ვაგზლის" სახადგურე გვირაბების გაყვანისას. მარტო ამ უბნის დასაშრობად წიაღის დიდ სიღრმეზე ქანობთა დასაცავენებლად საჭირო შეიქნა შვიდი ათასზე მეტი მეტრის საერთო სიღრმის ჭაბურღილების ამოღება, ამ ჭაბურღილებში 600 კუბმეტრზე მეტი ცემენტის სპეციალური ხსნარის წნევით ჩაშვება. ეს მეტად საკრიტიკო, ხანგრძლივი და დიდი დაკვირვებით შესასრულებელი სამუშაო იყო და იგი წარმატებით დაგვრგვნდა ჩვენი ვეტერანი მეტროშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის ამბ. ნ. ესაკიას დიდი ცოდნისა და მდიდარი გამოცდილების წყალობით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით. შექმნილ სიტუაციაში მშენებლებმა საქმეს კარგად გაართვეს თავი. გვირაბებში აგრესიული ნაკადების დინება შეწყვეტილ იქნა.

3.400 კაცისაგან შედგება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელთა კოლექტივი. მათ შორის ცოტა როდია თავისი საქმის საუკეთესო ოსტატი, სიძნელეებთან ბრძოლაში ნაწრთობი მშენებელი, რომლებმაც საუკეთესოდ მოაწესეს შრომა, სრულყოფილად დაეუფლნენ მაღალნაყოფიერად მუშაობის მეთოდებს.

იძულებულნი ვართ ამჯერად დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ზოგი მათგანის დასახელებით. ესენი არიან — გამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ობოლაძე, ს. ბლიაძე, ნ. ზადიშვილი, კ. ლიუბოვსკი, კ. აზნაუროვი, შ. დეკსურაშვილი, ს. ხაჩიროვი, გ. ღავთაძე, ა. ჩუპრიკოვი, ი. მამნიაშვილი, იზოლაციაზე მომუშავე კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები შ. დგებუაძე და ვ. კოვალი, მებეტონეების ბრიგადირი კ. კოჩიევი, მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირები ა. დათაშვილი, ვ. გრიგორიანი და სხვ.

მეტროპოლიტენის მშენებლობის წარმატებაში დიდი შრომითი დღვწლი მიუძღვით სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის № 213-ის უფროსს ინჟინერ ა. ბრეგვაძეს, იმავე მატარებლის მთავარ ინჟინერს ი. ბერიტაშვილს, გვირაბმშენებელთა მეხუთე რაზმის უფროსს ა. ყურაშვილს, შახტების უფროსებს — ს. ჭყურაძეს, მ. დათიკოვს, გ. ყიფიანს, უბნის უფროსს ი. რუხაძეს, ინჟინრებს — ნ. კოშკაძეს, გ. ბარაბაძეს, შ. კაკაბაძეს, მარკშეიდერს ი. ამბოკაძეს და სხვ.

უსათუოდ ცალკე უნდა აღინიშნოს ის ძმური, მაღალკვალიფიციური შრომითი დახმარება, რომელიც თბილისის მეტრომშენებლებს გაუწიეს მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის მეტრომშენებლების წარმომადგენლებმა, თბილისს, ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიდი სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა. ასევე მადლობის გრძნობით უნდა აღვნიშნოთ თბილისის მშრომელთა მასობრივი შრომითი მონაწილეობა მეტროპოლიტენის მშენებლობის დასაჩქარებლად გამართულ შაბათობებში.

წარუშლელ თარიღად დარჩება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლებისათვის 1965 წლის 28 ნოემბრის ღამე, როცა მეტროს ტრასაზე პირველად განხორციელდა მატარებლის საცდელი გარბენა. ეს იყო მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის ხანგრძლივი, დაძაბული შრომის პირუთვნელი გამოცდა. რომელმაც ცხადად დაგვანახვა, რომ მოპოვებულია დიდი გამარჯვება, რომ თბილისელ მეტრომშენებლებს შესწევთ ძალა და უნარი კვლავაც წარმატებით განაგრძონ ჩვენი მეტროპოლიტენის მშენებლობა, პირნათლად შეასრულონ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალება, რა სიძნელეებიც არ უნდა აღიმართოს მათ წინაშე.

...ერეის სიხარული

გ. ობოლაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

ცხადია, ყველასათვის საამაყო თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლის სახელი, მით უმეტეს თბილისელისათვის. მეც ვამაყობ ამ სახელით. რასაკვირველია, ბევრი სიძნელის გადალახვა მოგვიხდა, მაგრამ ჩვენი დედაქალაქის სიყვარულმა ყველა დაბრკოლება დაგვაძლევინა. ჩვენმა ბრიგადამ მიაღწია ისეთ დიდებულ მაჩვენებელს, როგორიც არის ყოველთვიურად 80 გრძივ მეტრამდე გვირაბის სრული პროფილით გაყვანა, რისთვისაც ბრიგადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვეს.

ჩვენი ბრიგადის გადაწყვეტილებაა კვლავაც დარჩეს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელთა რიგებში, ბოლომდე იმუშაოს მეტროს ქსელის გაფართოებაზე.

გ. ბასიშვილი,

თბილისის გვირაბმშენის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი.

მინდა უწინარეს ყოვლისა აღვნიშნო თბილისის საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების ის დიდი დახმარება, რომელსაც გვირაბმშენებლებს გაუწევდნენ მეტროპოლიტენის პირველი რიგის სამუშაოთა შესრულებაში. თბილისის რაიონულ პარტიულ კომიტეტებს მეტრომშენებლების დასახმარებლად ყოველდღიურად საშუალოდ 300 კაცი გამოჰყავდათ. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული სიბეჯითით, სულით და გულით მუშაობდნენ, ყოველ მინდობილ სამუშაოს მაღალხარისხოვნად ასრულებდნენ.

ამ შაბათობებმა, შრომელი მოსახლეობის მასობრივმა მონაწილეობამ მეტრომშენებლებში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. ამის შედეგია ის, რომ ახლა პირველი რიგის მიწისქვეშა სამუშაოები დიდი წარმატებით დამთავრდა, ხოლო მეტროპოლიტენის მშენებლები ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ მეტროს მეორე რიგის მშენებლობაში, პირნათლად ეგებებიან ჩვენი პარტიის XXIII ყრილობას.

ა. ბრეგვაძე,

სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელ № 213-ის უფროსი.

თბილგვირაბმშენის სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელ № 213-ის კოლექტივს ყველაზე რთულ სამშენებლო უბანზე მოუხდა მუშაობა. იყო ისეთი მომენტები, როცა გამოუცდელი კაცი იმედს დაკარგავდა, ხელს ჩაიქნევდა, შეუძლებლად მიიჩნევდა მშენებლობის განგრძობას — ყამირის წყალთა უხვი ნაკადები, რთული გეოლოგიური ვითარება ამას ხელს უწყობდა. მაგრამ ბუნებაზე უფრო ჯიუტები ადამიანები აღმოჩნდნენ. მუხლამდე წყალში, მტვერში, სიბნელეში უტევდნენ წიაღის ქანებს და გაიმარჯვეს. ამ გამარჯვებაში განსაკუთრებული ღვაწლი დაგვდო მიწის წიაღის პირველეულობათა დიდმა მესაიდუმლემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკო ესაკიამ, რომლის გონებამახვილობის წყალობით დაძლეულ იქნა ყამირის წყლის შემოტევაც და სხვა დაბრკოლებებიც. თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის სამუშაოები წარმატებით დაგვირგვნდა.

ს. გლიაძე,

თბილგვირაბმშენის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მეორე უბნის გამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ასრულდა ჩემი ნატვრა. ჩემს საყვარელ დედაქალაქს — თბილისს აქვს მეტროპოლიტენი და მის მშენებლობაში უშუალოდ ვმონაწილეობდი. ამის შეგნება სიცოცხლის ხალისს მიძლიერებს. მინდა ვიცოცხლო, ვიმუშაო სამშობლოს, ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ, კვლავაც მონაწილეობა მივიღო მეტროს ახალი ტრასებით თბილისის წიაღის დასერვაში. მჯერა, რომ ამ მიზანსაც უთუოდ მივაღწევთ მე და ჩემი ამხანაგები — იური მაღრაძე, გერასიმე ფილიევი, გურამ კიკნაძე, მარლენ მურჯიკნელი, კოლია მარტინოვსკი, ამირან ზარქუა, თენგიზ ბეიტრიშვილი და მიხეილ კვინიკაძე.

დე გაისეხოს შთამომავლობამ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლებს შორის ჩემი ბრიგადის ამ წევრების თავდადებული, შეწყობილი შრომაც.

ა. ყურაშვილი,

მე-5 საგვირაბო რაზმის უფროსი.

ჩვენი საგვირაბო რაზმის კოლექტივი მუშაობდა სადგურ „ვაგზლიდან" სადგურ „რუსთაველის მოედნამდე". ყველა სამუშაო ამ ტრასაზე შესრულებულია მაღალხარისხოვნად და მიღებულია საუკეთესო შეფასებით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ქალაქ თბილისის პირველი მაესრი, ოქტომბრისა და ორჯონიკიძის რაიონებიდან მეტრომშენებლების დასახმარებლად შაბათობის წესით გამოსულ მშრომელებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მე-5 საგვირაბო რაზმის მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსთა შრომითი თავდადება, უბანთა უფროსების გივი კაჭარავას, ალექსი თევდორაძის, გივი კალანდარაშვილის, ოთარ ღუღუშაურის, გივი ყიფიანის, გიორგი გუჯეჯიანის, ნიკოლოზ ცირეკიძის ენთუზიაზმით აღსავსე შრომა.

ა. დათაშვილი,

მემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

საბრძოლ არმიის რიგებიდან დაბრუნებისთანავე, დავწყე მუშაობა თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე და ახლა უკვე მემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადას ვხელმძღვანელობ.

უნდა გამოვტყდე: არასოდეს არ მიფიქრია, თუ შრომა ესოდენ დიდ კმაყოფილებას, უმაღლეს სიამოვნებას მიანიჭებდა კაცს, როგორც სინამდვილეში ყოფილა. ახლა მივხედი, პირადი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ შრომა არა მარტო აკეთილშობილებს ადამიანს, უდიდეს კმაყოფილებასაც ანიჭებს მას. ეს კმაყოფილება ვიგრძენით მე და ჩემი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებმა — შალვა გაგნიძემ, ირაკლი კაპანაძემ, ვლადიმერ ნიკოლაევმა, ნოდარ მახათაძემ, ვასილ ბატურინმა, შოთა ფანცულაიამ, ალექსანდრე პანკოვმა და სულიკო მახათაძემ იმ დღეს, როცა მეტროს პირველმა მატარებელმა თავისუფლად გაიგრიალა ჩვენ მიერ დამონტაჟებულ მიწისქვეშა სადგურებში.

ცოტა ლამეები როდი აქვთ გატეხილი მექანიზმების უთავბოლო მუშაობის უზრუნველსაყოფად მთავარ მექანიკოსს გ. ბარაბაძეს, უბნის მექანიკოსს ბ. ხუგაშვილს, ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ი. პლეშაკოვს, საგვირაბო ელმავლის მემანქანეს ივ. ბურდულს და სხვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის მეტროპოლიტენი. სურათებზე: ზემოთ — სადგურ „ვაგზლის მოედნის" დარბაზი; ქვემოთ — მეტროპოლიტენის ყველაზე გრძელი ესკალატორი სადგურ „რუსთაველის მოედანზე".

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

• რეპორტაჟი •

კარგია, ძალიან კარგია!

დღეს თბილისის მეტროპოლიტენში

მეტროპოლიტენის სამგზავროდ გახსნის წინადღეა თბილისში. თუმცა უკვე ერთ კვირაზე მეტია ცისფერი ექსპრესები ხმაურით დასრიალებენ ზუსტი გრაფიკის მიხედვით, მემანქანეები, სადგურებზე მატარებელთა მიმღებ-გამცილებლები, მორიგეები და დისპეტჩერები ვარჯიშობენ, ეუფლებიან ზედმიწევნითს სიზუსტეს, მკაცრად რეგლამენტირებული მუშაობის ჩვეულებს, რადგან... ორი დღე კიდევ, და ზედმიწევნით დახლოებებული უნდა შეხედნენ მგზავრთა ნაკადებს.

ესკალატორმა მშვიდი სისწრაფით ჩაგვიყვანა წიაღის სიღრმეში. თვალს ესიამოვნება დახრილი გვირაბის ნაირნაირ ფერთა თამაში, ქართული მიწის სიკეთის, თეთრი და ვარდისფერი მარმარილოს პრიალი, ელექტროშუქის ზომიერი სიუხვე. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ამ ესკალატორს, ადამიანის გონებამახვილობის ამ შესანიშნავ დანადგარს, ამდენი ხალხი მიწის ქვეშ კი არა, სამეჯლისო დარბაზში მიჰყავს და, მართლაც, გადასვამს თუ არა ესკალატორი მგზავრს მყარ იატაკზე, იგი ვრცელი კოლონადიანი დარბაზის შუაგულში აღმოჩნდება. აქეთ ერთი ლიანდაგია დაგებული, მეორე მხარეს — მეორე. ეიდლებზე წარწერებია გაკეთებული და მგზავრის სხვის დაუხმარებლადაც მიხვდება: ამ მხრიდან მატარებელი იქით მიდის, მეორე მხრიდან — აქეთ მოდისო. ორიოდე წუთი დრო სჭირდება ამ დალოცვილ მატარებელს, რომ რუსთაველის მოედნიდან დედა მტკვარქვეშ გაგატაროს და მარჯანიშვილის მოედანზე ამოგაყოფინოს თავი.

— ეჰე... გესმის მგზავრს მატარებლის ხმაური. ჯიბიდან გაზეთის ამოღებას და გადაშლას ვერ მოასწრებ, რომ რადიორეპროდუქტორი უკვე აცხადებს:

— სადგური „ვაგზლის მოედანი!"

ნუ დაიგვიანებთ, თორემ მეტროპოლიტენში დროს ნამდვილად ოქროს ფასი აქვს. ვაგონის კარი ავტომატურად გაიღება, ხოლო თუ დახურეს, მორიგ სადგურამდე აღარ გაადებენ, არც ხვეწნა გაგიგია, არც მუქარა, სანამ გამოერკვეოდე, დიდების ან ღრმადელის ძიდამოებში აღმოჩნდები...

უნდა ნახოთ, განიცადოთ, რა ამბებია ამ დღეებში მეტროპოლიტენის სადგურთა შესასვლელებში.

— შეგვიშვი რა, ძია! მილიციელს კი ესმის ჰაპუკთა გულისსადები. ან როგორ არ გამოიჩინოს ხვეწნისადმი გულგრილობა, როცა ამდენი ცნობისმოყვარე ელოდება მის დათმობას, თუ ის შეუშვი, ჩვენ რატომ არ უნდა შეგვიშვაო. რა პროფესიის, რომელი ასაკის, როგორი თანამდებობის კაცს არ შეხვდებით მეტროში შესასვლელებთან.

— სოფელში მივდივარ, რაჭაში. გამიშვი, თუ კაცი ხარ, ვინ იცის რამდენ ხანს ვეღარ ჩამოვიდე. დავთავალიერებ და ახლავე ამოვალ!

— სადაური ხარ?

— ფვიარელი, შენი ჭირიმე, ჯანგიძე ვარ!

— ჩემო ძვირფასო ჯანგიძეკ, ვერ გაგიშვებ, რადგან ამით ხელს შეეშლით საერთო საქმეს!

მგზავრებისათვის კარის ფარ-ოდ გაღებას ენიშნა ენერგიული დამახასიათებელ ფუსფუსში არიან ახლა მეტროპოლიტენის ექსპლოატაციის დარგის მუშაკები. როგორც იტყვიან, საქმეში ყელამდე არიან ჩაფლულნი მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი ნოდარ ბერიძე, მთავარი ინჟინერი ვლადიმერ გაგნიძე, მოძრავი შემადგენლობის სამსახურის უფროსი ივთანდილ ჩაგანავა. ყველა, დიდი თუ პატარა, მართალია, თბილისის მეტროპოლიტენი არც მოპრეკეთებით, არც არქიტექტურულ ანსამბლთა ორიგინალობით, მით უმეტეს სადგურებში შესასვლელთა გაფორმებით არ ჩამოუვარდება სხვა ქალაქთა მეტროპოლიტენებს, მაგრამ მის ტრასებზე მატარებელთა მკაფიოდ ტარების ჩვევათა დაფუძნება მაინც საჭიროა და ასეთ ჩვევებს ეუფლებიან მემანქანეები და მათი თანაშემწენი — ნოე ლაცაბიძე, თენგიზ დანგაძე, ამირან ძიძიგური, ზურაბ ბეჭტურაშვილი და სხვები.

ასეთ ჩვევებს, მოძრავი შემადგენლობის სწრაფად და მაღალხარისხოვნად შეკეთების ჩვევებს ეუფლება მეტროპოლიტენის დეპოს კოლექტივი — შემკეთებელ ბრიგადათა ოსტატები, ზეინკლები, მეავტომატები, მეაპარატეები — გიორგი ხიტალიშვილი, კარლო მარტიროსიანი, რომან გაბესკირია, კოტე გაგნიძე და ბევრი სხვა.

როგორც დიდ ზეიმს, პირადი ბიოგრაფიის საამაყო მოვლენას, ისე მოულიან მეტროპოლიტენის სამგზავროდ გახსნას გიორგი ქლიბაძე, ოთარ დანელია, გურამ ლაფერაშვილი, სულიკო ჩიტაძე...

ცენტრალური სამატარებლო სადისპეტჩერო მოწყობილია სადგურ „ვაგზლის მოედანზე" აღმართულ ახალ შენობაში. სელექტორთან დისპეტჩერი უშანგი კასრაძე ზის და, როგორც დირიჟორის თიოლისმიანი ჩხირი აწესრიგებს ორკესტრანტების ცალკე ინსტრუმენტთაგან ხმების პოლიფონიას, ერთ შეწყობილ მელოდიად ქცევას, ისევე მკვეთრი სიზუსტით აწესრიგებს გადასარბენებზე მატარებელთა ურთიერთ შეწყობილ მოძრაობას.

კარგია, ძალიან კარგია თბილისის მეტროპოლიტენი.

დ. ლომთაძე.

თბილისის მეტროს იცყვიან!

სიკო ფაშალიშვილი.

თბილისის მიწა გასჭრა ქირურგმა,
მასში ჩაიწყო რკინა და თუჯი.
თბილისის მიწას ვინ ნახავს უქმად, —
როგორც მკვდარ მიწად ყოფილა უწინ?!

ყველა უბანი და ყველა ქუჩა
დალაგებულა წყობის უჯრებად.
ხალხის სიხარულს ბოლო არ უჩანს,
და ,ახალ მიწას ესაუბრება.

„თბილისის მეტრო", „ესკალატორი" —
რა ახალია ეს სახელები!
ცოცხლობდეს, ვინც რომ შეცვალა დრონი
თავისი მტკიცე რკინის ხელებით.

დიდება თბილისს, ვინც ძალა მისცა,
ვინც დღეს ითენებს ახალ შვებასა,
დედა თბილისის ახალო მიწავ,
გილოცავ ახალ გამარჯვებასა!

მეგოგროგის ქეგლი

სადგური „ვაგზალი". ასეთი სახელწოდება აქვს მიგუთვნებული თბილისის მეტროპოლიტენის იმ სადგურს, რომელიც რკინიგზის თბილისის მთავარი ვაგზლის მოედანზეა მოწყობილი.

შევა კაცი ამ სადგურში, და პირველ რიგში აღმოჩნდება დიდსა და ვრცელ, მრგვალ დარბაზში, საიდანაც საესკალატორო გვირაბი სულ ქვევეი, მიწის წიაღის სიღრმეში ეშვება, მაგრამ როდი ერძიბობს კაცი, რომ ამ იატაკს ქვეშ კიდევ მეორე, უფრო დიდი, უფრო ვრცელი სამანქანო დარბაზია, სადაც მოწყობილია მართვის პულტი.

დაე იცოდნენ თბილისელმა მშრომელებმა, რომ ამ მიწისქვეშა დარბაზში გამართული მანქანები დაამოტაჟეს, გამართეს და აამუშავეს ლენინის ქალაქიდან ჩამოსულმა მემონტაჟეებმა. მათ შორის 7 მემონტაჟე გამოგზავნეს ლენინგრადის მეტრომშენებლებმა, ხოლო 3 მემონტაჟე — ლენინგრადის კოტლოიკოვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა. ბევრი ვიმუშავეთ თუ ცოტა, ეს ახლა არაგვისთვის საინტერესო არ არის. საინტერესო და სასიამოვნო ის არის, რომ ესკალატორები საუცხოოდ არის გამართული, უნაკლოდ მუშაობენ და როდესაც მეტროპოლიტენის ექსპლუატაციაში ჩასაჯდომად შემოსვალთ, გაგვიხსენეთ ჩვენც, ვინც ყოველივე ეს მოაწყო: ლენინგრადის მეტრომშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბელენცოვი, ბრიგადირი ალექსი ჩურლიაევი და ბრიგადის წევრები ბორის იაკოვლევი, ვიქტორ სმირნოვი, ანატოლი ჟუნეცოვი, ბორის შაროვი, ივანე ციდილინი და ვლადიმერ კრავცოვი.

ექსპერტ ესკალატორი დავამონტაჟეთ ლენინგრადელებმა თბილისის მეტროპოლიტენის ორ სადგურში — „ვაგზალსა" და „ოქტომბერში", ეს სამუშაოები შეასრულეს აგრეთვე კოტლიაკოვის სახელობის ქარხნიდან გამოგზავნილებმა — სერგი ერმილენკომ, ნიკოლოზ ანტონოვმა და ვიქტორ იაკოვმა.

თბილისის მეტროპოლიტენი საბჭოთა ხალხების ურღვევი, ძმური კავშირისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის სამარადისო ძეგლია.

ვლ. კრავცოვი.
ესკალატორების მემონტაჟე.

იცით თუ არა თქვენ...

● 1870 წელს თბილისში იყო სულ 439 ორცხენიანი და 117 ერთცხენიანი ეტლი, 672 საზიდარი.

● 1883 წელს რკინიგზის სადგურიდან ვორონცოვის მოედანამდე (დღევანდელ მარქსის მოედნამდე), ახლანდელ პლეხანოვის პროსპექტზე გავლით გაიხსნა თბილისში პირველი ცხენის რკინიგზის („კონკის") მოძრაობა.

● 1904 წლის ბოლოს თბილისში სადგურისა და ვორონცოვის მოედნებს შორის მიხაილოვის პროსპექტზე გაიხსნა ელექტროფიცირებული ტრამვაის მოძრაობა.

● ამჟამად თბილისის მოსახლეობას ემსახურება ოთხასამდე ავტობუსი, 150 ტროლეიბუსი, 850-ზე მეტი მსუბუქი ტაქსი და 278 ტრამვაის ვაგონი.

● თბილისის მეტროს პირველი რიგის ამუშავებისას ხაზზე იქნება სამვაგონიანი ხუთი მატარებელი. თითო მატარებელი ერთ რეისზე გადაიყვანს 710 მგზავრს.

• თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები •

„ელექტროდეპო"



„ოქტომბერი"

„მარჯანიშვილის მოედანი"



„რუსთაველის მოედანი" ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲙᲝᲜᲙᲘᲓᲐᲜ — ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲐᲛᲓᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

უპირველესად ყოვლისა „ნიანგი“, შეიძლება დაგვიანებით, მაგრამ მაინც ულოცავს ახალ წელს „კომუნისტის“ მკითხველებს.

დიდი კმაყოფილების გრძნობით სტუმრობს „ნიანგი“ თქვენი გაზეთის ფურცლებზე და ახალი წლის პირველი ნომრიდან, რომელსაც ამ დღეებში მიიღებთ, წინასწარ გთავაზობთ რამდენიმე მასალას. გულადდილად რომ ვთქვათ, ასეთი ხელგაშლილი მასპინძლობა ჩვენთვის დიდად დასაფასებელია.

ახალ წელს „ნიანგი“ ძველებური მადით შეხვდა, შეიძლება ითქვას უფრო მადაშლილი, ვიდრე ოდესმე. ჩვენი ულუფა, მოგეხსენებათ, ყოველ წელს თითქმის ერთი და იგივეა: ცოტა ბიუროკრატიზმი, ცოტა თაღლითობა, ცოტა მექრთამეობა, ცოტა კოსმოპოლიტიზმი, ცოტაც სხვა ჯურის სარეველა ბალახები, ბევრი მარილი, უფრო მეტი პილპილი და უამრავი ძმარი. მიუხედავად ამისა, „ნიანგი“ ბედნიერი იქნება, თუ წელს მშიერი დარჩება ან, ყოველ შემთხვევაში, ნახეკრად მაძღარი. „ნიანგი“ შიმშილით თავს არ მოიკლავს, თავს დაანებებს სატირას და მხოლოდ იუმორზე გადავა. სიცილს რა სჯობს!

დიდი მადლობა მასპინძლობისათვის, გისურვებთ ჯანსაღ სიცილს, მეგობრებო!

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ,
უურნალ „ნიანგის“ რედაქტორი.

ᲨᲚᲐ�პᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜ მას უბრალოდ ივანეს ვეძახით. სამსახურში კი ივანე გიორგის-ძეს ეძახდნენ. ან რა გასაკვირველია, ივანე ჩვენი მეზობელი ძია-კაცია, ხოლო ივანე გიორგის-ძე საკმაოდ მოზრდილი ფაბრიკის დირექტორი ბრძანდება.

თუმცა, ახლა რაღას ბრძანდება!.. უკვე პენსიაზე გავიდა.

სწორედ ძია ივანეს პენსიაზე გასვლამ გამახსენა, პირველად რომ ვეწვიე ფაბრიკაში...

უზარმაზარი ტაკვგადაკრული კარის წინ მოკალათებული პატარა მდივანი ქალი ღიმილით შემომეგება:

— დირექტორი გნებავთ? ამ წუთში მოვა, რომელიღაც განყოფილებაშია გასული. შლაპაც კი არ დაუხურავს, — მითხრა და დამანახვა მაგიდაზე ფაქიზად დადებული შლაპა.

ველოდე ერთ საათს, ორ საათს. დარეკა ტელეფონმა:

— დირექტორი? რომელიღაც საამქროშია გასული!.. რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! აქ არის, შლაპაც კი არ წაუღია!

ვიარე ერთი კვირა, ორი კვირა. შლაპა ყოველთვის აკურატულად ცხადდებოდა სამსახურში. დირექტორი კი ყოველთვის საამქროში იყო, ან განყოფილებაში, ან ბუხჰალტერიაში...

ჰო! ერთხელ ბუხჰალტერსაც მივაკითხე. იქ მდივანი აღარ იჯდა. უბრალოდ, უკითხავად შევედი ოთახში. შიგ, ცხადია, არვინ დამხვდა. თუმცა როგორ არა, სკამზე პიჯაკი ეკიდა...

შემდეგ დირექტორთან დავბრუნდი. ახლა აღარც მდივანი დამხვდა. საბეჭდ მანქანაზე დაუდივრად მიეგდო ჭრელი უაკეტი. მაშასადმე, მდივანი აქვეა სადღაც. აბა, უუაკეტოდ შორს ხომ არ წავიდოდა!

— ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠᲐ ᲑᲐᲠᲗ?! — ან დამაძინეთ, ან დამპატიჟეთ.

მხატვრობა გ. ფირცხალავასი.

ᲣᲢᲔᲥᲡᲢᲝ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ. მხატვრობა ა. კანდელაკისა.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲝ!

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ მგზავრებო! მატარებელი ნომერი 253, თბილისი-თელავი, ხუთი წუთის შემდეგ გავა თბილისის სადგურიდან. პირველ ვაგონში გატეხილია ერთი, მეორეში — სამი, მესამეში — ორი, მეოთხეში —ხუთი, მეხუთეში — ოთხი, მეექვსეში — ორი ფანჯარა. ვისაც კახური ღვინო გაქვთ, დაჯექით ფანჯარასთან ახლოს. ვისაც შაკიანი და ხველა ბატონებისა გეშინიათ, ერთად მოგროვდით და გაათბეთ ერთმანეთი. გაციებულთა დასახმარებლად სადგურ სავარეჯოში მატარებელს დახვდება ბაზრის წინ ჩამწკრივებული კახურით სავსე ბოთლები. შესვით და გაამოთ! დამტვრეული ფანჯრებიდან შემოჭრილი გამქრავი ქარი ნელი ხორცის შენახვის უებარი საშუალებაა. გატეხილ ფანჯარასთან ახლოს დააწყეთ ყველა ისეთი საკვები, რომელსაც შუა ზამთარში ჩახურება ემუქრება!



პატარძეულის აღმართზე დ. ჩალაუბნის დაღმართზე შეიძლება იანვრის მსუსხავმა ქარმა შეგაწუხოთ! სულით ნუ დაეცემით! დაწექით და ხურჯინებს ამოეფარეთ!

ამერკავკასიის რკინიგზის ზოგიერთი მუშაკი კახელების უკეთ მომსახურებისათვის კიდევ დიდხანს არ ჩასვამს მინებს!

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: შევიძინე ტანსაცმლის თბილისური კარადა, რომელსაც მუსიკალური კარი აღმოაჩნდა: გაღება-მიხურვისას ოთახი ივსება ერუანტელის მომგვრელი ჰანგებით. გთხოვთ განგვიმარტოთ, რა საწარმოო მიღწევისთვის იბრძვის კოლექტივი?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: კოლექტივი იბრძვის დამკვრელის წოდების მინიჭებისათვის!

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ვმუშაობდი მძღოლად უკონდუქტორო ავტობუსზე, სადაც მიკროფონთან გადაცემის დიდი გამოცდილება შევიძინე. კინაიდან ამჟამად მართვის უფლება ჩამორთმეული მაქვს, გთხოვთ მიპასუხოთ, სად და რაზე შემიძლია მუშაობა?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ფილარმონიაში, კონფერანსიედ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ. გადაწყვეტილი მაქვს მოვეწყო პოლტეკნიკურ ინსტიტუტში. ამიტომ მთელ დროსა და ენერგიას ვანდომებ მხოლოდ მათემატიკურ საგნებს. გთხოვთ განმმარტოთ, ინსტიტუტში შესვლისას ხელს შემშლის თუ არა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სუსტად ცოდნა?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: არ შეგიშლით ხელს, იქ გამოცდებს მანქანა იბარებს, მანქანამ კი ქართული არ იცის!

Შ. ᲨᲐᲓᲠᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

— მიშველე რამე! — მიმართა მეგობარმა მეგობარს. — წინა სამი კბილი ისე მტკივა, ღამეებს თეთრად ვათენებს!

— მიდი კლინიკაში, — ურჩია მეგობარმა.

— გინდა მომკლან?

— აბა, მე ამოგიღებ!

— შენ ვერ გენდობი!

— მაშინ რას გეტყვი, იცი? აგერ რომ მხეცივით კაცი მოდის, ხედავ? მიდი, გადაუდექი წინ და შეაგინე!

* * *

ᲔᲠᲗᲘ აბიტურიენტი, რომელსაც გამოცდა მანქანისთვის უნდა ჩაბარებინა, დიდხანს ტრიალებდა მის გარშემო, აბიტურიენტთან მივიდა კომისიის თავმჯდომარე და გაოფრთხილა.

— რას უტრიალებთ ახალგაზრდავ, მანქანის მუშაობის პრინციპი ხომ გაგაცნეს?

— ფულის ჩასაგდებ ადგილს ვეძებ, ბატონო! — მიუგო აბიტურიენტმა.

Თ. ᲛᲔᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲒᲑᲐᲫᲕᲔᲚᲘ— ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲝᲓᲘᲐ

დამთავრდა ესე სეზონი, ვითა სიზმარი ღამისა,
ხამს ვიწყოთ თვლა ქულებისა, კვლა გოლისა და წამისა,
„დინამოს“, „ლოკომოტივის“, „ტორპედოს“ განაწამისა.
სპირს მოყვარულთა ხსენება აფშვევს წარბ-წამწამისა,

დია გვაღსენდა „დინამო“, როს ვერცხლსა ოქრო ირჩია.
ოდეს მხნე ბარქაიამან გვიჩვენის ბარი კიჟია,
იამანის ძე ლომგული. სლვა და მესხი — ნიჟია,
შიშით ძრწოდიან დამცველნი, იძახდნენ: „სიჟი, სიჟია!“

ხანი გამოხდა, და-ცა-ხდა „დინამო“ აღზევებული,
ბევრი ვიხილეთ მსაჯთაგან მიერთი ჯაკვებული,
„ტორპედო“, ვითა ტორპედო. სხვა ქვეჯგუფს არის რებული.
„ლოკომოტივი“ საქმეზე გვიანლა დაფიქრებული.

სიხარულის ძეს ვაქებდეთ სისხლისა ცრემლდანთხეული.
ახალთა მწვრთნელთა გვარებით აღარ გაავსოს რვეული.
განკურნოს ჩვენი ფეხბურთი სამგანვე პირდარღვეული
(ზეაღმავალი ბე-კლასი უკვე გაგვიხდა ქვეული!).

ესე რჩევანი უებრო გვითქვამს და მოგვიტანია:
ზედწოდებანი გუნდთანი სიკვდიდმე გასატანია?
„დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ რაცა ხანია...
შევეკმატოს „რადიატორიც“, „ზაზორი“, „ზაჟიგანია!“.

არ გათხევთ, იცით შეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,
ზემდგომ-ქვემსხდომნი ჩარევით მიწყივ რად თავს იკლავდიან?
ბანძული პოლიხრონიონ თუ ჭოპორტელი კლავდია...
ვაგლახ, ნაბან წყალს ხშირად ხომ ბავშვს ვააყლებს გადია!..

მესხი მელექსე მოუხმობს შოთას, მესხს ოქროს მბეჭველსა,
რვა საუკუნის სახსოვრად სხვის კარს ახსნიდნენ ბეჭედსა!
რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხვეჭელსა...
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!..

Რ. ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲕᲘᲪᲝᲚᲓᲔᲗ

ᲪᲠᲛᲢᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

☐ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს საქალაქო მიწისქვეშა ან ესტაკადებზე გაყვანილ ელექტრორკინგზას.

☐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ მეტროპოლიტენი მსოფლიოში უძველესია. აქ პირველი ხაზი 1863 წელს გაიხსნა. ამჟამად ლონდონის მეტრო ყველაზე გრძელია მსოფლიოში. მას ორი წრიული ხაზი აქვს. ერთი მიწის ზედაპირთან ახლოს, მეორე უფრო ღრმად არის მოთავსებული. საერთო სიგრძე კი 405 კილომეტრს აღწევს. ამ მანძილზე განლაგებულია 277 ხადგური. მეტროს ყოველწლიურად გადაჰყავს 700 მილიონი მგზავრი, ხოლო დღეღამეში დაახლოებით 2 მილიონი.

☐ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ 1871 წელს გაიხსნა ქალაქის რკინიგზა, რომელიც გადიოდა ლიფთნის ესტაკადებზე ორთქლმავლებთან. თუმცა ესტაკადებზე რკინიგზის გაყვანა ბევრად უფრო იაფი და აღვილია, მაგრამ ასეთი მეტროპოლიტენის მშენებლობამ პრაქტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან ესტაკადები თავიანთი საყრდენებით ავიწროებენ ქუჩაში მოძრაობას და ქმნიან ბევრ სხვა უხერხულობას.

☐ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲨᲘ მესამე მეტროპოლიტენი ამუშავდა 1896 წელს. მისი სიგრძე პირველად 3,7 კილომეტრი იყო.

☐ �პᲐᲠᲘᲖᲘᲡ მეტროპოლიტენი 1900 წელს მსოფლიო გამოფენის აღსანიშნავად გახსნეს. ყველაზე ხშირი ქსელი მსოფლიოში ამ მეტროს აქვს. პარიზის მეტრო 8-ჯერ კვეთს მდინარე სენას, 5-ჯერ მიწისქვეშა გვირაბებით, ხოლო 3-ჯერ ხიდზე გადის. ხმაურისა და გუგუნის შესამცირებლად ზოგიერთ ხაზზე მატარებლების თვლები აღჭურვილია სპეციალური სადებებით.

☐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ მეტროპოლიტენი რიგის მიხედვით მეოთხეა, რომელიც 1902 წელს გაიხსნა. შემდგომში მეტროპოლიტენების მშენებლობის კალენდარი ასე წარმართა:

☐ 1907 წელს მეტრო გაიხსნა ფილადელფიაში, 1912 წელს — კანზაურში, 1913 წელს—ბუენოს-აირესში, 1919 წელს — მადრიდში; 1927 წელს — ტოკიოში, 1928 წელს — ბარსელონაში და ოსლოში, 1930 წელს — ათენში, 1933 წელს — სტოკჰოლმში.

☐ მილანის მეტროპოლიტენი, 1964 წლის დასაწყისში გაიხსნა. მისი ლიანდაგი გაყვანილია პატარა სიღრმეზე, სამუშაოები მიმდინარეობდა ღია წესით. ამ მეტროპოლიტენის სიგრძე 12,5 კილომეტრია.

☐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ — პირველი საბჭოთა მეტროპოლიტენი მსოფლიოს ყველაზე უკეთეს, მაღალკომფორტულ და განსაკუთრებულ მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებათა მქონე მეტროპოლიტენად არის მიჩნეული. მისი მშენებლობა დაიწყეს 1932 წელს. 1935 წლის 15 მაისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოსკოვის მეტროს პირველი რიგი — სიგრძით 11,6 კილომეტრი.

ახლა მოსკოვის მეტროს სიგრძე 109 კმ-ია. მას ემსახურება 72 სადგური. 96 ვესტიბიული, 206 საექსკალატორო კიბე, რომლის საერთო სიგრძე 26,8 კმ-ია, სპეციალისტების გამოანგარიშებით, მოსკოვის მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მეტროპოლიტენის საერთო სიგრძემ უნდა მიაღწიოს 400 კილომეტრს.

მოსკოვის მეტროპოლიტენი ყველაზე „ჩქარია“ მსოფლიოში.

☐ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ მეორე საბჭოთა მეტროპოლიტენი აშენდა. ეს მშენებლობა ომის შემდგომ იქნა დაწყებული, იგი მოკლე დროში დამთავრდა, ახლა მიმდინარეობს ახალი ხაზების დაპროექტება და მშენებლობა.

☐ ᲙᲘᲔᲕᲘ რამდენიმე წელია დამშენდა მეტროთი. მსოფლიოში ოცდამეცამეტე, ხოლო საბჭოთა კავშირში მეოთხე. არის ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მეტროპოლიტენი. მას მოჰკვება ბაქოსი, რომლის ამუშავება 1966 წელს არის ნავარაუდევი.

Დ. ᲚᲝᲚᲝᲒᲔᲠᲘᲫᲔ.
ინჟინერი,

ᲕᲘᲜ, ᲡᲐᲓ, ᲠᲝᲓᲘᲡ?

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲚᲛᲔᲠᲗᲘᲡ“ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 იანვარი (საკვლევი). რა თქმა უნდა ფეხბურთის მოყვარულებისათვის საინტერესო იქნება თავიანთი კალენდარებში შეიტანონ „ოქროს ქალაქმერთის“ თექვსმეტი მაძიებლის მატჩების განრიგი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ (თამაშები ლონდონში გაიმართება): 11 ივლისს — ინგლისი - ურუგვაი; 13-ში — საფრანგეთი - მექსიკა; 15-ში — ურუგვაი-საფრანგეთი; 16-ში — არგენტინა-საბერძნეთი; 19-ში — მექსიკა-ურუგვაი; 20-ში — საფრანგეთი-ინგლისი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ (ბირმინჰემსა და შეფილდში): 12-ში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-შვეიცარია. 13-ში—ესპანეთი-არგენტინა; 15-ში — შვეიცარია-ესპანეთი; 16-ში — არგენტინა-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; 19-ში — არგენტინა-შვეიცარია; 20-ში—ესპანეთი-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ (ლივერპულსა და მანჩესტერში): 12-ში — ბულგარეთი-ბრაზილია; 13-ში — უნგრეთი-პორტუგალია; 15-ში — ბრაზილია-უნგრეთი; 16-ში — პორტუგალია-ბულგარეთი; 19-ში — პორტუგალია-ბრაზილია; 20-ში — უნგრეთი-ბულგარეთი.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ (სანდერლენდსა და მიდლსბროში). 12-ში — სსრ კავშირი-კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — მიდლსბროში; 13-ში — ჩილი-იტალია; 15-ში — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა - ჩილი; 16-ში — იტალია-სსრ კავშირი — სანდერლენდში; 19-ში — იტალია-კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა; 20-ში — ჩილი-სსრ კავშირი — სანდერლენდში.

მეოთხედფინალში გადის რვა გუნდი (ორ-ორი საუკეთესო თითოეული ჯგუფიდან). პირველ ჯგუფში გამარჯვებული შეხვდება გუნდს, რომელმაც მეორე ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, მეორე ჯგუფში გამარჯვებული — პირველი ჯგუფის მეორე გუნდს, მესამე ჯგუფში გამარჯვებული — მეოთხე ჯგუფის მეორე გუნდს, და მეოთხეში გამარჯვებული მესამე ჯგუფის მეორე გუნდს. ე. ი. თუ ბრაზილიის გუნდი მესამე ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს, ჩვენი ნაკრები კი მეოთხე ჯგუფში — მეორე ადგილს, მაშინ საბჭოთა ფეხბურთელებს მეოთხედფინალში მოუწევთ თამაში ბრაზილიელებთან — ორგზის მსოფლიო ჩემპიონებთან.

ნახევარფინალური შეჯიბრებები 25 ივლისს გაიმართება ლივერპულში და 26 ივლისს — ლონდონში, ფინალი 30 ივლისს მოეწყობა ლონდონში.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

☐ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ ოტტავაში გაიმართა დიდი ასპარეზობა სათხილამურო გადარბენებსა და ბიატლონში. სათხილამურო გადარბენაში ქალთათვის 10 კილომეტრზე უძლიერესი იყო ა. კოლჩინა. დრო — 35 წუთი. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ე. ᲛᲐᲨᲘᲚᲝᲕᲐ და რ. ᲐᲠᲘᲜᲘᲜᲐ. ვაჟთა ასპარეზობაში 30 კილომეტრზე პირველი სამი ადგილი დაიკავეს ა. ᲜᲐᲡᲘᲫᲘᲜᲝᲕᲐ, ბ. ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲐ და ა. ᲐᲥᲘᲜᲒᲘᲜᲝᲕᲐ.

☐ ᲡᲐᲚᲝᲜᲘᲙᲘᲨᲘ შედგა მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. რომლებმაც გაიმარჯვეს ოთხივე თანრიგში. ზ. ᲠᲣᲓᲜᲘᲪᲐᲛ ფინალში დაამარცხა უნგრეთის ჩემპიონი Ე. ᲙᲝᲪᲘᲐᲜᲘ 3:0, Ა. ᲐᲛᲔᲚᲘᲜᲐ — Ზ. ᲑᲐᲠᲪᲘᲙᲘ (უნგრეთი) 3:2. გამარჯვება ხვდა აგრეთვე ჩვენს შერეულ წყვილს — ᲠᲣᲓᲜᲘᲪᲙᲘᲡᲐ და ᲐᲛᲔᲚᲘᲜᲘᲡ. ქალთა წყვილებში პირველები იყვნენ ᲠᲣᲓᲜᲘᲪᲙᲐ და მ. ᲚᲔᲓᲜᲘ (საბერძნეთი).

ᲛᲔᲝᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის საცეგუროაზე დაიწყო სსრ კავშირისა და ნორვეგიის ჩქარსნულ მოცეკურავეთა ტრადიციული მატჩი, რომელიც მეთორმეტე.

მეტოქეთა შორის არიან მსოფლიოში აღიარებული მოცეკურავეები — **პერ-ივარ მუ, ფ. მაიერი, ე. მატუსევიჩი, ვ. კოსიჩენი** და სხვ. მსოფლიო ჩემპიონატის წინ ეს მატჩი წარმოადგენს გენერალურ რეპეტიციას ფავორიტებს შორის.

პირველად სტარტზე გამოვიდნენ სპრინტერები. 500 მეტრზე რბოლაში ყველაზე უკეთესი დრო — 41,7 წამი აჩვენა **ბ. გულიაევმა.** მეორე ადგილი საბჭოთა მოცეკურავე **ვ. ორლოვს** ხვდა — 42 წამი. პირველი დისტანციის შემდეგ წინ იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები 76:60.

ყურადღებას იპყრობდა სტაიერთა პაექრობა. სტუმრებმა, რომლებმაც მოკლე დისტანციაზე ვერ მიაღწიეს წარმატებას, რევანშის აღებას ფიქრობდნენ 5.000 მეტრზე რბოლაში. ასეც მოხდა, აქ უძლიერესი აღმოჩნდა **ფ. მაიერი.** მან აჩვენა დრო — 7 წუთი და 56,1 წამი. მსოფლიოს ეს ცნობილი მოცეკურავე წელს ჩინებული სპორტული ფორმაშია. მას განზრახული აქვს პირველობა არავის დაუთმოს აგრეთვე 10.000 მეტრზე რბოლაში. მეორე ადგილი 5.000 მეტრზე რბოლაში დაიკავა **ე. მატუსევიჩმა,** მესამე — **ა. ანტსონმა.** საერთო გუნდურ ჩათვლაში წინ არიან საბჭოთა სპორტსმენები 145 : 127.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები 1.500 და 10.000 მეტრზე ჩქაროსნულ ცეკურაობაში.

Ა. ᲡᲮᲘᲢᲐᲠᲔᲚᲘ— ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲜᲘᲞᲔᲠᲘ

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე იტალიაში. ბოლონიაში ჩვენმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ადგილობრივი „კალდი-ალჩიზა“ 86:67, ხოლო კუნძულ სარდინიის ქალაქ კალიარში მოუგეს „ოლიმპიას“ 102:72.

ორივე მატჩში საუკეთესო სნაიპერი იყო Ა. ᲡᲮᲘᲢᲐᲠᲔᲚᲘ. რომელმაც თავის კოლექტივს პირველ შეხვედრაში 17 ქულა, ხოლო მეორეში 24 ქულა მოუტანა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. **ვ. ს. შავდია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ;

ამხ. **ბ. ა. რეხვიაშვილი** — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

1966 წლის 20 იანვარს დღის 12 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ფ. მახარაძის ქ., 14), ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲡᲐᲠᲓᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲯᲘᲑᲣᲢᲘ** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კოლმეურნეობათაშორისო საწარმოო კავშირები საქართველოს სსრ-ში“.**

20 იანვარს დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ფ. მახარაძის ქ., 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲗᲐᲛᲘᲠᲐ ᲡᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საქართველოს სსრ წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

10.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის ლექცია უმაღლეს მათემატიკაში. 11.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. თქვენთვის, პატარებო! „ცეროდენას ეკრანი“, 12.10 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სულერთია დაგვწეევი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — გადაცემა — „ღლეები და ადამიანები“, 17.40 — კინონარკვევი, 18.00 — „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — კინონარკვევი, 18.40 — კონცერტი, 19.10 — მრგვალი მაგიდის გარშემო. „სპორტსმენი და მორალი“, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „ჩვენი სატელევიზიო აფიშა“, 20.30 — „არის მეტროპოლიტენი“, 22.00 — მხატვრული ფილმი „მწვანე შუქი“.

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — მხატვრული ფილმი „მწვანე შუქი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი, მიძღვნილი მეტროპოლიტენის გახსნისადმი, 19.05 — განცხადებები. 19.10 — გადაცემა — „რეჟისორი მარლენ ხუციევი“, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი — „ყურადღება და მისი აღზრდა“, 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.00 — მხატვრული ფილმი „შვიდი ცოდვილი“, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲠᲐᲓᲘᲝ

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

09.15 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, 10.15 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — თბილისის კამერული ორკესტრის კონცერტი, 11.30 — რადიოოპერნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მუსიკალური რადიოთეატრი, 12.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიომონტაჟი სპექტაკლისა „ვარსკვლავიშუნა“, 14.45 — გადაცემა ციკლიდან — „გმირული ფურცლები“ — ნარკვევი — „სიკვდილზე ძლიერი“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — „ანა კალანდაძის ლექსები, 16.00 — რიმსკი-კორსაკოვი. სიუიტა ოპერიდან „სალთან მეფის ზღაპარი“, 16.20 — გადაცემა ულტრის რადიოინფორმაციული ტარის მსმენელთათვის „ფიმნა შინგელაია“, 17.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით, 20.00 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი, 20.30 — რადიოსპექტაკლი „ანზორი“, 21.45 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 23.30 — საღამოს მუსიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

Ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბოროლის ქოში (დღისით), ერთმოქმედებიანი ბალეტები (საღამოს, პრემიერა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — მიტეხის ჩრდილში (დღისით), ქუთათურები (საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (დღისით), შეხვედრა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ფითრი (დღისით), ვისია ვისი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მოგვარაკენი (დღისით), **ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სტუდენტები (დღისით), ალუბლები ჩუკავიან (საღამოს).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90. უცხოეთის — 3-15-63, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 2-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲗᲒ-05807

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის კ. № 14.